

მიიღება ხელის მოწერა. ფასი 1 წლ.,—5 მან. 6 თვ.—2 მ. 75 კ., 3 თვ.—1 მ. 50 კ., 1 თვ.—50 კ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.



სოციალ-დემოკრატიული საზოგადო. მკორნ.

მიზრი და სალიბერალურ შუხნალი

რედაქცია ღიაა 10-3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი: დასდებენი ადღგომისანი.—ი.მჭედლიშვილისა. ვფარცმული ჭეშმარიტება.—ქართ-
ლელისა. წარსული, აწმუა და მომავალი ხიზნობისა.—ალ. ყიფშიძისა. უკანასკნელი ამბები. მტირე
რამ განცხადება.—აკაკისა. შოთა რუსთაველი.—შ. ამირჯიბისა. მიმქრალი სულის აღსარება.—დ.
კასრაძისა. ქართულ კულტურის მოყვარულთა კრებაზედ.—რაესი.

დასდებენი ადღგომისანი

(მიხსიყა მიქაელ მოდრეკილისა *).

ვითარცა ტალანტი წინამძღოვართაგან დაფარული
შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვბოვეთ.
იღვანე ბერაჲ

დღეს აღმობრწყინდა საფლავიდან უკვდავი ღმერთი
და განაქარვა სოფლის ბნელი და ჯოჯოხეთი.
მისსა აღდგომას ჭეშმარიტსა იგლოვს სიკვდილი,
დამარცხებითა მიქცეული, ღონე-მიხდილი
და იხარებენ სიმართლითა ადამის ძენი:
ქრისტემ განახვნა ქვესკნელისა დაბშულნი ბქენი,
მას შინა მყოფნი განანათლა ზე ღვთაებითა
და აღდგა მკვდრეთით მესამე დღეს ბრწყინვალებითა...
ვაქებდეთ ნათელს უჩრდილობელს, დაუღამებელს,
ვაქებდეთ სიბრძნეს ბუნებისას, წყალობამფრქვეველს,
საუკუნეთა ღმერთსა ქრისტეს—მზეს სიმართლისას,
შეუწერელსა და შემოქმედს თვით ბუნებისას!

თვით უვნებელმა ღვთაებითა, იგნო კაცებით

*) ქართველი სასულიერო მგოსანი მე-X-ე საუკუნისა.

და მოგვევლინა ხორციელი ციურ განგებით,
 ვინც შეიწყნარა ადამიანთ შეცოდებანი
 და დაიწინა ჯვარსა ზედა, ვითა მტევანი,
 უკვდავის სისხლის მომცემელი მოკვდავ კაცთათვის
 და მოგვაშადა განწმდითა კაცნი ცათათვის...
 ნულარ იქადი, ჰოი მძლავრო, ბოროტო სულო,
 შურისძიებად ადამიანთ ზედა მოსულო,
 რომელმან განირთხ ბრჭალი შენი ხელმწიფებითა,
 წარწყმიდე სულნი ადამისნი დამონებითა,
 განაღე პირი შთანთქმად ყოვლთა დაბადებულთა,
 რათა შეიცვა სიბნელისა შენთა ჯურღმულთა.
 ძრწოდე, ბელიარ, განდგომილო ზე არსისაგან!
 დაემხო მიწას მთავრობანი შენნი ღვთისაგან!
 აღარ გაქვს ძლევა, ჯოჯოხეთო, გაუძღომელო,
 რადგან მოკვდავად შეიწყნარე წიაღთა შენთა
 უკვდავი ღმერთი—ადამიანთ ტკბილ სამლოცველო—
 და სიკვდილითა სძლია სიკვდილს ცხოვრებად ჩვენდა!

დღეს გავეცანით განუზომელ სიბრძნესა ღვთისას
 და ვეთაყვანეთ საიღუმლოს სულისა მზისას!..
 ამაო არის საშვებელი და დიდებანი,
 ამაო არის სიცოცხლისა განდიდებანი,
 რამეთუ მოკვდავთ ამიერთ სოფლით განსვლისას
 ჰქრებიან, ვითა ყოვლნი ჩრდილნი მზისა ჩასვლისას...
 დღეს ვხარობთ... ვაქვებ ქრისტე ღმერთსა—სიმართლის მოძღვარს
 და თაყვანსა! ვცემთ მორწმუნენი მეორედ მოსვლას!

ი. მკედლიშვილი

ჯ გ ა რ ც მ უ ლ ი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა

ჩვენს დროში არც ერთი სოციოლოგი არ მოიპოვება, რომელიც მისწრაფების მთავარ საგნად მსოფლიო ბედნიერებას არ აცხადებდეს. მართლაც, ვისაც შემთხვევა ჰქონია ადამიანის შესწავლისა, ადვილად დაინახავდა, რომ ეს მეტად რთული და „ქმნილებათა გვირგვინი“ არსება სცხოვრობს ბედნიერებისათვის, თავადებული მისდევს მის ლანდს, როგორც სიამის აღმძვრელ სიმბოლოს, რათა დღიურ ვარამს და ნაღველს როგორმე თავი დააღწიოს. მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამ აბსოლიუტურს მტკიცებას ყოველთვის თანა სდევს არა ნაკლებ თავსამტვრევი კითხვა, თუ რა არის ბედნიერება? რა ელემენტებისაგან შესდგება იგი? რაზეა დაფუძნებული? სად შეიძლება ვიპოვოთ მისი სა-

ზომი? ეს კითხვები საუკუნეთა აზროვნების კარის ბჭეზე დიდი ხანია რაც მოხაზულა, მაგრამ შესაფერი პასუხი ვერც ერთმა ფილოსოფოსმა, ვერც ერთმა მეცნიერმა ვერ მოგვცა. საბოლოოდ საქმე იქნობამდინ მივიდა, რომ შოპენჰაუერისა და ჰარტმანისაგან, ბედნიერებას მხოლოდ ტანჯვის ფიალაში ხედავდნენ. „ცხოვრება ბოროტებაა,“ ამბობდა პირელი, იგი მსოფლიო მწუხარების ბუნებრივ ისტორიას წარმოადგენს, დაუსრულებელს ტანჯვას!“ და მის სიტყვებს „შეუმცნებელ ფილოსოფიის“ ავტორი ჰარტმანიც ადასტურებდა, რომ „შეუძლებელია ცხოვრება ტანჯვა არ იყოსო!“ და მართლაც: მსოფლიოში ამაოდ დაიწყებთ ბედნიერად ადამიანის ძებნას. აბსოლიუტური მონობა, ძალდა-

ტანებული შრომა, მცირე ხელფასი, ათასგვარი უბედურება, გლახაკობა, ციხე, პროსტიტუცია, შიმშილით სიკვდილი და სხვა და სხვა, აი ის ბედი, რომელიც წილად ჰხდომია დაბალ კლასს! უფლებათა შეზღუდვა, მოუსვენრობა, ნაღველი, მეტოქეობა, კოტრობა, დანგრევა, ადამიანურ უფლებათა დაკარგვა და უფლებებოთა შორის ჩარიცხვა—აი საშუალო კლასის ბედის კარნახი! მაგრამ არ იფიქროთ, ვითომც მაღალი კლასები განთავისუფლებულნი იყვნენ სოციალურ უბედურობათაგან და ყოველ შემთხვევათა გარეშე დაზღვეულ იყვნენ, ვითომც შეუძლებელია მათ ლაჩვარად კამარას მწუხრის ზეწარი გადაეკრას ელვის მტყორცნელი მქუხარე ღრუბლებისაგან. არა! წოდებით, განათლებით თუ სიმდიდრით გალალბულთ და უპირატესობა მოხვეჭილთ, თითქმის ყოველ ნაბიჯზე უხდებათ ბრძოლა ათას გვარ ტანჯვისთან, რომელიც შეკავშირებულნი არიან მატერიალურ პაუპერიზმთან. ვინ დაგვარწმუნებს, რომ დღევანდელი მათი ფუფუნება ხვალ მტვრად არ გადაიქცევა! ვინ დაგვარწმუნებს, ვითომც ბედნიერება სუფევდეს მათ საღმრთო საფარში? არა, ბედნიერება არც თუ ამ მდიდრების, სწავლულთა თუ ამა ქვეყნის ძლიერთა ხვედრი არის! ბედნიერი შეუძლებელია იყოს ის, ვისაც კალმით თავისუფალი მუშაობა არ შეუძლიან, არ შეუძლიან ერთი სტრიქონი დასწეროს ისე, რომ არ შესდგეს, საზოგადოებრივ აზრს ანგარიში არ გაუწიოს, არ ებრძოდოს ათასგვარ უგუნურებას, უსირცხვილობას! ბედნიერი არ შეიძლება იყოს ის, ვინც გონებრივ ილწვის და თვალწინა ჰხედავს, თუ ვით მახინჯდება გრძობა, როგორ კასტურ მიმართულებას იღებს საღი გონება, ანუ აზრი როგორ ემწყვდევა ვიწრო ფარგლებში, რომლებიც დაუხლართიათ არა რაციონალურ სისტემის წყალობით! ბედნიერი არ შეიძლება იყოს მხატვარი, რომელსაც ვრძობა მშვენიერებისა ძალაუნებურად ებღალვის ლაქიურ ესთეტიკის ხილვით, მოსყიდულ კალმის მიჩნევით, დამონებულ სიძების სმენით, შეურაცხყოფილ საკვეთელის ხელში აღებით! ბედნიერი არ შეიძლება იყოს ის, ვინც მეცნიერებათა უმაღლეს სფეროში დაპფრინვას და ვის ფერხთა წინაშე კი ჰხედავს უფერულ ბრბოს, რომელიც უმეცრების უფსკრულს ჩაუნთქავს და ოდნავი ღელვითა საქირო, რომ გადმოსკდეს თავის ნაპირებს და ერთიანად გაჰქელოს ყოველგვარი სიწმიდე! რავდენი უნახავს კაცობრიობას შეგინებული გენიოსი, როდესაც მის აღმოჩენათათვის

უგუნურების სიცილ-ხარხარი და ქვა და გუნდა თავს დაურყიათ!.. დასასრულ, ბედნიერი არ შეიძლება იყოს ის, ვინც რომ თავს იმტვრევს ათასგვარი ლტოლვილებით და ერთხელაც არ იკითხავს, მართალია მის მეკობრის მხურვალედ ხელის ჩამორთმევა, რომელიც მასში ოქროთი გატენილ ქისის მეტს არასა ხედავს, ანუ იმ ქალის აღერსი, რომელიც სარეცელად ეშლება, ვნებათა ქარით სურს დაათროს, მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან ელის თავის ოცნების ახდენასო!—ფუფუნებით ცხოვრებას. არა, ცხოვრებამ არ უწყის ბედნიერება, რომელიც ცრუ მორალს კეკლუცი სახით დაუხატნია! სინამდვილე მხოლოდ უდაბნოს გვიშლის, უბედობის უდაბნოს, სადაც არც ერთი ოაზისი არ მოიპოვება, რომ ადამიანს შეეძლოს შეჩერება, დასვენება, მტანჯველ ფიქრებისაგან განთავისუფლება! ასე არის დღეს, ასე იყო გუშინ, ასეთი ვიღა ჰქონდა დადებული ბედნიერებას საჯკუნეთა განმავლობაში! კენესა და მწუხარება, ცრემლი და მოთქმა, ან თავდავიწყებული განგაში, აი სურათი სინამდვილისა, აი მსოფლიოს სახეობა! უგუნურება და საშინელება, უმოწყალო გლეჯა-ფლეთა აი ის დევიზი, რომელსაც თავ-შეუკავებლად მისდევს კაცობრიობა!

მაგრამ მოხდა სასწაული: და ამ ორიათასი წლის წინად ქვეყნიერებას მოველინა, ქეშმარიტად, ღმერთ-კაცი იესო, რომელმაც სიყვარულის თეთრი ალაში აღმართა, და ტანჯულ კაცობრიობას შვების ნანად მოესმა ღარიბ ნაზარეველის ხმა.

—ჰოსანა, ჰოსანა დავითის ძეს! ჰოსანა ღმერთ კაცს!

შესძახეს მოძღვარს და სულ განაბული ყური მიაპყრეს მის საოცარ სიტყვებს, რომლებიც ვარდის სახით იფურჩქნებოდნენ: „შეიშრეთ ცრემლები მტვერსა და ვაგლახში ქედ წახრილნო. ნუ შეგიქმუზენიათ შუბლი, მოვედიო ჩემთან და მე შეგიწყალებთ თქვენ!“

უნავთსაყუდრონი, სასომხიდილნი, ქვეყნიურ ღრიანცელით ქანც-მოწყვეტილნი ერთგვარად აღფრთოვანდნენ, სიყვარულსა და მშვიდობას ახარებდნენ ერთ ურთს, ვით ქეშმარიტების გამოჩინების! მაგრამ ეს იყო წუთით. გაიფანტა თავდავიწყების ზმანება და ლეგენდალური ღმერთკაცი ჯვარს აცვა და მასთან ერთად დაასაფლავა ქეშმარიტება. იგივე უგუნურება, იგივე ღრიანცელი, იგივე გლეჯა-ფლეთა, იგივე ცრემლით დართვილული გლოვის სამრეკლო... ბედნიერება ქიშკრიულ ცნებად გარდიქმნა. ჩვენ გვჯერა მისი არსებობა, ჩვენ მას

დავეძებთ! მხოლოდ წელიწადში ერთხელ, რომ სასოწარკვეთილებას დავეძლიოთ, თავდავიწყებით პირს ვუკრავთ ტანჯვის მოხსნილ იარას და, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, ერთგვარის აღფრთოვანებით ვეგებებით არ არსებულ ძმობა-ერთობის და სიყვარულის აღდგომას, მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე დღეს ღმერთაკაცთან ერთად კეთილ სიტყვებით და ლიტანიით ცისკენ გავამგზავროთ, ანუ ჩავმარხოთ საუკუნოების განმავლობაში ისედაც მრავალ ტანჯული და ჯვარცმული ქეშმარიტება!..

ქართლელი.

წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობისა

(გაგრძელება I კარისა)

დამოუკიდებელ საქართველოში, სადაც ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული კანონი მეფობდა, ხიზნობას მარტო პირადად თავისუფალი კაცი არ ეტანებოდა. ხიზნობით იოლად მიდიოდა ხშირად ეკლესიის ყმა, ანუ საეკლესიო კაციც. რაკი ეკლესიას საკმარისი მამული არ მოეპოვებოდა ყმის დასაპურებლად, მისი ყმა იძულებული ხდებოდა აბარგულიყო ეკლესია — მონასტრის მამულ-დედულიდან და შეჰხიზნებოდა დიდ მემამულეს. მაშასადამე ეკლესიის ყმის ხიზნობასაც მარტოდ-მარტო ეკონომიური ანგარიში უღვევს სარჩულად. ეკლესიაც თავის ყმაზე ხელს როდი იღებდა. მისგან წასული და სხვის მამულზე დახიზნებული კაცი ისევ ეკლესიის ყმად რჩებოდა. წოდებით, ძველებურად. საეკლესიო ყმად ითვლებოდა, ხოლო ახალ ვარემოების წყალობით რომ სხვისა მამული დაიქირა სამუშაოდ დროებით, ვადით, თუ უვადოთ, ამ შემთხვევაში სულ ერთია იგი ხიზნად გადაიქცა და სახიზნო ჩვეულების და ადათის მფარველობაში მოჰყვა. ამ კატეგორიის ხიზანი, მართალია, ყმა ეკლესიამონასტრისა, ესე იგი ისეთისავე ფეოდალისა, როგორც იყო მამულის პატრონი თავადი, ან ახნაური, მაგრამ განსხვავება მაინც დიდია ყმასა და ამ ჯურის ხიზნის შორის. იგი მემამულის წინაშე პირადად თავისუფალია, როგორც წოდებით თვით თავისუფალი ხიზანი გლეხი. საეკლესიო ყმა-ხიზანი მემამულეს პირადად სამსახურს, ბატონ-ყმურს, არ

უწევს. ბატონ-ყმურ სამსახურს თუ მოსთხოვს მემამულე, ადგება ხიზანი და სხვაგან წავა. ასე რომ მისი მოვალეობა და სამსახური ახალ ბინაზე ისაა, რაც შეეფერებოდა მაშინდელ დროს სხვისი მამულით დაქირავებას იმ პირობის ფარგალში, რომელიც დასდეს მემამულემ და ახლად შეხიზნულმა გლეხმა.

მესამე ჯურის ხიზანი წარმოშობა თვით ბატონ-ყმობამ. ზოგს მემამულეს ყმა ბლომად ჰყავდა, მაგრამ მამული ცოტა ჰქონდა. ასეთს გარემოებაში ყმა იძულებული იყო სხვაგან გადავარდნილიყო და ეშოვნა მამული, რომ ცოლ-შვილიც გამოეკვება და ბატონისთვისაც ბატონ-ყმური სამსახური გაეწია. არც თვით მრავალყმიანი და მცირე მამულიანი ბატონი უშლიდა ყმას სხვაგან წასულიყო და დიდ მამულიან ბატონისაგან აეღო მამული სარჩენად. ეკონომიური ინტერესი მებატონისა მოითხოვდა, რომ გზა არ შეეკრა უმამულო ყმისთვის; შინ შიმშილისა და წყურვილის მაგიერ ასეთი ყმა უცხო ალაგას ნაშოვნ დოვღათიდან ბატონს პირნათლად ემსახურებოდა. ბატონ-ყმობის დროს თავად ერისთვის 3742 კომლი ყმა ჰყოლიათ, მაგრამ რაკი საკმარისი მამული არა ჰქონიათ, 500 კომლი კაცი დაბინავებულა სხვა მებატონეთა მამულზე, როგორც ხიზნები. მესამე ჯურის ხიზანიც, როგორც პირველისა და მეორე კატეგორიისა, სახიზნოდ აღებულ მამულის პატრონის წინაშე პირადად თავისუფალი იყო და ბატონ-ყმურ სამსახურს არ უწევდა. ბატონ-ყმური ანგარიში ძველ ბატონთან ჰქონდა, ხოლო სახიზნო მამულის პატრონს ემსახურებოდა, როგორც მამულის პატრონს. თუ კი ძველს ბატონს მამული შეემატებოდა რომელიმე მიზეზის გამო, არხენად აიყრებოდა ასეთი ხიზანი ახალის ბინიდან და ძველს ფუძეს დაუბრუნდებოდა. რაც უნდა იყვეს, სხვისა კარზე ცხოვრება სამძიმო იყო მაშინდელ დროს, მით უმეტეს, რომ ქართლელს დიდად ემძიმებოდა სახლ-კარის მოშლა, მამა-პაპის საფლავის და ადგილობრივ ხატის დტოვება.

ხიზნების ბუდედ და სამშობლოდ ითვლება ქართლი, დღევანდელი გორისა და დუშეთის მაზრანი. დღეს თუ სადმეა გამწვავებული ხიზანთა საქმე, აი სწორედ აქ, ქართლში. კახეთის ხიზნობა სახსენებელადაც არა ღირს. თითო-ორიოლა კომლი თუ კივიკივებს სადმე, თორემ მათის არსებობის ამბავი არავის მოეხსენება. არც არავის ისინი აწუხებენ და არც არავინ მათ ავიწროებს. შედარებით

საკმარისი რიცხვით ხიზნების იმერეთში, განსაკუთრებით სამეგრელოში (სამეგრელოს თავადის დიდ მამულებში), მაგრამ აქაც ხიზნების საქმე ისე არ გამწვავებულა და არ ამოტივტივებულა ცხოვრების პირზე ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, როგორც ქართლში.

ხიზნების უზომოდ გამრავლების მიზეზად ქართლში იმას ასახელებენ, რომ აქ სახაზინო და საეკლესიო მამული ცოტა იყო, ხოლო ხალხი მრავალი. იქნება ასეთი განმარტება ხიზნობის სიუხვისა ქართლში მართალიც იყოს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნამდვილი ისტორიული ხიზანი, თვით ცხოვრების სიღრმეში აღმოცენებული, ბატონ-ყმობის გადავარდნამდე ქართლშიაც ცოტა იყო. 1885 წელს თ. იოსებ ციციშვილმა განაცხადა მთავარმართებლის საბჭოში, რომ ციციანი დიდის მთა-ბარის პატრონები ვართ და კარგა ბლომად ხიზნებიც გვყავსო, 60 კომლზე მეტია. მაშასადამე თუ ოთხმოცდაათიან წლებში მთელ ზემო და ქვემო საციციანოში 60 კომლი ხიზანი იყო, სამოციან წლებში ბევრი-ბევრი 40 კომლი ყოფილიყო. საქართველოს თვით-არსებობის დროს, თუნდ შემდეგაც, ვახტანგ მეფის კანონების მოქმედების ხანაში, 1841 წლამდე, მათი რაოდენობა ისე მცირე იქნებოდა, რომ საციციანოს უშველებელ მთა-ბარში დიოგენის ფარნითაც გასჭირდებოდა მათი პოვნა. დღეს კი მარტო თომა ციციშვილისეულ მამულში 377 კომლი ხიზანია.

ხშირად სახაზინო კაციც მიდიოდა ხიზნად. მეოთხე ჯურის ხიზნობას სწორედ ეს სახელმწიფო გლეხნი შეადგენდნენ. მიზეზი სხვისა კარზე და მამულზე ცხოვრებისა იგივეა, რა მიზეზიც ხიზნობას აძებნიდნენ პირველ სამის ჯგუფის გლეხ-კაცობას, უმამულოება, ან მცირე მამულიანობა ხაზინისა. სახაზინო უწყებას, ან ხაზინას დღეს დიდი მამულეები აქვს, მაგრამ საცხოვრებლად გამოუსადეგარია. მთა-გორიანი ადგილები ხაზინისა, სადაც მარტო მომთაბარობა შეიძლებოდა, ესე იგი ზაფხულში საქონლით და ცხვრით მთაზე, იალალზე ასვლა, ხოლო ზამთრობით ბარში დაბრუნება, აგრე რიგად ვერ მიიზიდავდა უმამულო ხალხს. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ძველად დიდი შიშინობა იყო განაპირა და მთა-გორიან ადგილებში. რადგან ბარში სამეურნეოდ გამოსადეგი ადგილ-მამული ხაზინას ცოტა ჰქონდა, ამის გამო სახაზინო გლეხიც იძულებული იყო დიდ მემამულეს შეჰხიზვნოდა. სახაზინო კაცი, ხიზნად შესული, ისეთსავე ურთი-

ერთობას იქერდა მამულის პატრონთან, როგორც სხვა ჯურისა და კატეგორიის ხიზანნი. მისი მფარველი და პატრონი იყო ადათი და ჩვეულება.

როგორც უკვე მოვისენინეთ, სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა გადასახადი ელო ხიზანს. ზოგი მარტო ღალა-კულუხს იხდიდა, ზოგი კიდევ ღალა-კულუხის გარდა საიდგომოდ და საშობაოდ ძღვენს მიართმევდა მამულის პატრონს. იყვნენ იმისთანა ხიზნებიც, რომ მუშით და გუთნით ეხმარებოდნენ მამულის პატრონს, ზოგნი კიდევ ფულსაც იხდიდნენ. ხიზანთა ჩვეულობაში ზოგიერთი ბეგარა და გადასახადი დღეს სიცილის მეტს არას გამოიწვევს. მაგალითად იყვნენ ისეთები, რომელნიც მამულის პატრონს უნდა ჰხლებოდნენ ცხენით, როცა იგი ქალაქს წაბძანდებოდა, ან კიდევ უზანგი დაეპირა მამულის-პატრონისთვის, როდესაც იგი ცხენზე შებძანდებოდა. არც ღალა, არც კულუხი; არც ძღვენი, არც გუთნითა და მუშით დახმარება გარდა უზანგის დაქერისა, ან ცხენით თანხლება, სხვა ბეგარა და გადასახადი არ ელო ასეთს ახირებული ხიზანს. რა ნიდაგზე აღმოცენდა ასეთი ახირებული გადასახადი, ამის გამოძიებას არ შეუდგებოდა. უნდა ვირწმუნოთ მხოლოდ, რომ მოვალეობა ხიზნისა მამულის—პატრონის წინაშე მრავალფეროვანი იყო, ზოგან ცოტა, ზოგან მრავალი, ზოგან სუბუქი, ზოგან მძიმე და ზოგან კიდევ სასაცილო, როგორცაა მაგალითად უზანგის დაქერა. ცვალებადობა გადასახადისა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა პირობებში მოუხდა გლეხ-კაცს ხიზნობა. მაგრამ რაკი კაცი ჩაეხიზნა მამულის პატრონს, რაკი მამულის პატრონი და ხიზნობის მძებნელი შესთანხმდნენ გარდასახადის რაოდენობაზე, შეუძლებელი იყო გარდასახადის გადიდება. შეცვლა პირობისა, სიტყვის გატეხა, აბუჩად ავლება ხიზანთა ჩვეულებისა პროტესტს იწვევდა ხიზნისას და საქმე სამედიატოროდ გახდებოდა ხოლმე. დამახასიათებელი და ნიშანდობლივი თვისება ჩვენის ხიზნობისა აი სწორედ ეს უცვლელიობა და შეურყევლობაა ერთხელ ნაკისრის გარდასახადისა, ბევრისა და მოვალეობისა.

ძველს საქართველოში და რუსობის დროსაც, ვიდრე ვახტანგ მეფის კანონებს აჰკვეთავდნენ (1841 წ.), ხიზნები ისე ვერ გამრავლდებოდნენ, როგორც გამრავლდნენ იგინი ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ. კანონის ძალით თავისრფალი წოდების ხიზანი პირადს თავისუფლებას უნდა გამოსთხოვებოდა, თუ კი ოცდა ათი წელიწადი სხვის

მამულში დარჩებოდა. ესევე ბედი ეწეოდა საეკლესიო და საბატონო კაცს და სახაზინო გლეხს. აღწერის დროს მამულის პატრონი შემოხიზნულ კაცს დავთარში ჩააწერინებდა თავის საკუთარ ყმად და ამ გვარად ხიზნობას მოსპობდა, ხოლო ძველი ბატონი, ხაზინა და ეკლესია-მონასტერი უფლებას დაჰკარგავდა კანონის წინაშე და უკან ველარ დაიბრუნებდა თავის ყმას. ეს საერთო სახალხო აღწერანი და დავთრებში მოქცევა იყო მიზეზი, რომ მებატონენი ბეჯითად ეძებდნენ მათ უნებურად სხვაგან გადახვეწილ ყმებს. ქართლ-კახეთი სავსე იყო ვაქცეულ და გაპარულ ყმების მაძებარ თავდა-აზნაურობით. ყმებს ადვილად არც ხაზინა და ეკლესია მონასტრები დასთმობდნენ და ისინიც მუდამ ძიებაში და ძებნაში იყვნენ.

ნათქვამიდან ირკვევა, რომ ურთიერთობა ხიზნისა და მამულის პატრონის შორის შეეხებოდა მხოლოდ მამულით სარგებლობის პირობას, რომ ხიზნობის ინსტიტუტი აღმოცენდა ეკონომიურ ნიადაგზე, რომ სახიზნო პირობა და ხელშეკრულობა, სიტყვიერი იყო იგი, თუ წერილობითი, ვადიანი, თუ უვადო—იყო ჩვეულებრივი საიჯარო პირობა იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ რაოდენობა, ზომა გარდასახადისა არ იცვლებოდა. უვადო პირობის დარღვევა ჩვეულების ძალით შეეძლოთ ორთავე კონტრაგენტს, როცა ამას მოისურვებდნენ და როცა ამას მათი ინტერესი მოითხოვდა. პირობის დადების დროს და შემდეგ, ვიდრე ასეთი პირობა მოქმედობდა, ბატონ-ყმურ ურთიერთობას ადგილი არა ჰქონდა, რადგან თუ ასეთის ურთიერთობის ჩამოგდება მოისურვებდა ბატონი, ხიზანი გაექცეოდა. ხიზანი თავისუფლებას მაშინ ჰკარგავდა, თუ ოცდაათ წელიწადზე მეტს დაჰყოფდა ერთს ადგილზე. ამ გარემოებით ისარგებლებდა მამულის პატრონი და ყმად ჩააწერინებდა დავთარში საერთო ხალხის აღწერის დროს.

ამ უბრალო და მარტივის ურთიერთობის ბრალია, რომ ხიზანი მამულის პატრონს არას ედავებოდა, არ უჩიოდა და არც მამულის პატრონი სჩიოდა ხიზანზე. თავდა-აზნაურობამ პირდაპირ უთხრა უმაღლეს მთავრობას საგლეხო რეფორმის განხილვის დროს (1853 - 1864 წ.): „ყველას მოეხსენება, რომ ხიზანი არავითარ ვაჭირვებას და შეწუხებას არ განიცდის თვის ყოფა-ცხოვრებაში; ისიც მოეხსენება, რომ ხიზნის პიროვნება არაა შელახული და დამცირებული. ხიზანსა და მამულის პატრონის შორის არსებობს ტკბილი განწყო-

ბილება და შეზობლობა, რომელსაც ორივენი დიდად აფასებენო“. ამის გამო უჩიეს მთავრობას, ყმა-გლეხის ბედიც ისე მოაწყეთ, როგორც ხიზნების ბედია მოწყობილი ადათით და ჩვეულებითო.

ბალტიის ზღვის პირად მდებარე სამს გუბერნიაში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს (1816 წ.) სწორედ ასე მოაწყო რუსის მთავრობამ ყმის ბედი. მიანიჭეს პირადი თავისუფლება სახლ-კარი და ეზო მისცეს საკუთრებად. რუსის რეფორამატორებს არ მოსწონდათ ეს რეფორმა. განა შეიძლება გლეხის განთავისუფლება უმამულოდ, ხომ ქვეყანა ბოგანოვებით გაივსება?

ბალტიის კუთხის საგლეხო რეფორმის საოცარი შედეგი მოჰყვა. ესტისა და ლატიშის უნარმა მძლავრად იჩინა თავი. რაკი ბატონ-ყმობის მონური ჯაჭვის რგოლი დაირღვა, საოცარი მხნეობა გამოიჩინა, განვითარდა, ვაკაჟდა ცხოვრებასთან ბრძოლაში. დღეს, ასის წლის შემდეგ, ლამის პირქვე დაამხონ ძველი ბატონები—გერმანიის ბარონ-გრაფები და მოქალაქენი. ქ. რეველი უკვე გამოჰგლიჯეს ხელიდან გერმანიის ბიურგერებს და იმ დროსაც მალე მოვესწრებით, რომ ნახევარ მილიონიან რიგასაც წაართმევენ და გუშინდელნი ყმანი რიგის თვით მართველობას სათავეში მოექცევიან.

ჩვენ ვერ გავბედავთ, ვერ ვიტყვი, რომ ჩვენშიაც ის მოხდებოდა, რაც მოხდა ბალტიის ზღვის ნაპირებზე, მაგრამ არც ისეთი სასაცილოა ქართველი ფეოდალების რჩევა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ჩვენშიაც და რუსეთშიაც დროებით-ვალდებული გლეხი მაგრად მივებით ერთ ნაკუწა მიწას, ხელ-ფეხი შეუკარით განთავისუფლებულს კაცს და ეკონომიური ყმობის უღელი დავადეთ კისერზე. თუ ვინმე საზრუნავი დღეს ჩვენშიც და რუსეთშიაც, აი სწორედ ეს განთავისუფლებული კაცია.

ამიერ კავკასიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩრდილი ვერ მიაყენა ქართველ თავდა-აზნაურობის ნათქვამსა, რომ ჩვენა და ხიზნები კეთილ განწყობილებაში ვიმყოფებითო, ვერ უარჰყო, რომ ხიზნები დაჩაგრულები არ არიან. კომიტეტმა დაიწუნა ფეოდალების რჩევა სხვა მოსაზრებით. განთავისუფლებ. ყმის ბედი ისე რომ მოვაწყოთ, როგორც ხიზნებისაო, მაშინ გლეხის მდგომარეობა მკვიდრ საფუძველზე არ იქნება აშენებულიო. ასე მოწყობილი გლეხი სახელმწიფოს პ ი რ ი ა ნ ა დ ს ა მ ს ა ხ უ რ ს ვ ე რ გ ა უ წ ე ვ ს ო.

დღესავით ნათელია კომიტეტის აზრი. ნაყმევ გლეხზე კი არა სჩანს მზრუნველობა, არამედ სა-

ხელმწიფო ფისკზე და თუ დაიწუნა ფეოდალების რჩევა, დაიწუნა იმიტომ, რომ ეკვი შეეპარა, ვაი თუ რეფორმის შემდეგ გლეხმა ჯეროვანი სამსახური ვერ გაუწიოს სახელმწიფოსა და ვაი თუ გადასახადი რიგიანად ვერ აძლიოს ხაზინასა:

მაშინდელმა ტფილისის გუბერნატორმა კ. ივ. არლოვსკიმ შეითვისა ქართველ—თავად აზნაურობის აზრი ხიზნობის შესახებ და მაშასადამე ამ აღმინისტრატორმაც დაამტკიცა და დაამოწმა ის იდეალური სურათი, რომელიც ბატონებმა გადუშალეს ცენტრალურ კამიტეტს. არლოვსკი ამბობდა, რომ დროებით-ვალდებული ურთიერთობა ბატონსა და ყმობიდან გამოსულ გლეხისა ისე მოვაწყობთ, როგორც არსებობს ხიზანსა და მამულის პატრონის შორისო. „ხიზნები სცხოვრობენ, ამბობს არლოვსკი, ისეთის უწყინარის პირობებით, რომ მთავრობას არ მოსვლია და არც ამ უამადაა აქვს არც ერთი საჩივარი არც ხიზნისა მებატონეზე და არც მებატონისა ხიზანზეო.“

არლოვსკის სიტყვით, 1861 წლის ცნობებით, ტფილისის გუბერნიაში სულ 5938 კომლი ხიზანი ყოფილა... არ ვენდობით ამ ციფერს, რადგან ის ტორიულ ხიზანთა რაოდენობის სისწორით გამოანგარიშება მეტის-მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელი. ესლა რომ არა გვაქვს ქრისტიანული სტატისტიკა, აბა მაშინ რა იქნებოდა, სამოციან წლებში. რუსების დამკვიდრების დროს ხომ თითქმის არ არსებობდა რიგიანი აღრიცხვა ხალხისა წოდების მიხედვით. ბატონ-ყმობის გადავარდნამ დიდად შეუწყა ხელი ხიზნების რიცხვის გამრავლებას. რაკი დამშლელი აღარავინ ჰყავდა მცირე მამულიან მთას, განსაკუთრებით სამაჩაბლოს, იხუვლა მთამ და ბარში ჩამოვიდა, აქედან მოედო საციციანოს, საჯავახოს და საფალავანდოს. 1885 წელს თავადი გიორგი ივანეს ძე ყიფიანი ამბობდა, რომ მომეტებული ნაწილი ხიზნებისა მთიდან ჩამოსული მაჩაბლიანთ ყმა-ოსები და იმერლები არიანო. სამშობლოში გრამოტით ნადელები მიიღეს და აქ ხიზნობა დაიჩემესო. ამათ ყველას უნდა უარი ეთქვას ხიზნობაზეო. ნამდვილი ისტორიული ხიზანი ძალიან ცოტაა. თუ მორიგებით ვერ მოურიგდებიან მამულის პატრონს, მაშინ სახელმწიფომ სახაზინო მიწები უნდა დაურიგოს საცხოვრებლად, ხოლო მამულის პატრონმა უნდა დააჯილდოვოს ხიზანი ჩვეულებით-სამებრო.

საყურადღებო ამბავი აქ, სხვათა შორის, ისიცაა, რომ თავად-აზნაურნი ხშირად ეუბნებოდნენ

მთავრობას, — კარგად მოგეხსენებათ, რომ მამული ჩვენც ცოტა გვაქვს და ხიზნებს რალა მივცეთო, აიღეთ და გადაასახლეთ სახელმწიფო მიწაზეო. მთავრობა მუდამ ყურს იყრუებდა, ვითომც არც კი გამოგონიო და პასუხს არ აძლევდა. ასე რომ არც პირდაპირ ნათქვამს ღ არც ნართაულად გადაკრულს სიტყვას ანგარიშს არ უწევდა და ერთხელაც არ მოისურვა ხიზნობის ტალღისათვის პირი ექმნა სახელიწიფო მამულებისაკენ.

1890 წელს მარტო გორის მაზრაში ირიცხებოდა მთავრობის ცნობით 7148 კომლი ხიზანი, 1882—1884 წლებში კი 6774 კომლი; მამრობითი სქესისა იყო 25.706 სული, მაშასადამე 50.000 სულზედ მეტი ორივე სქესისა. 1884 წლიდან მოკიდებული გორის მაზრაში წელიწადში 500 კომლი ხიზანი ემატებოდა. აი სწორედ ამ დროს აირია მონასტერი. ხიზანთა აბობოქრებული ზღვა სწორედ წალეკვას უქაღდა ქართლსა.

რაკი დაახლოვებით გამოვარკვიეთ, თუ რას წარმოადგენდა ისტორიული ხიზანი და ხიზნობა, აღმოცენებული ისტორიულ ნიადაგზე, და როგორი ურთიერთობა იყო მათსა და მამულის პატრონის შორის, ახლა ისიც ვნახოთ, თუ რა ხერხი და ღოხე იღონა აღმინისტრაციამ ამ ინსტიტუტის გასაშუქებლად და გადასაწყვეტად და გავითვალისწინოთ ის გარემოებანი და დრო-ყამი, თუ როგორ ხელოვნურად მრავლდებოდა ისტორიულ ხიზნის ნატამალზე ახალი ტიპის, მთიდან მოსული ხიზანი.

ალ. ყიფშიძე.

(შემდეგი იქნება).

უკანასკნელი ამბები

ხიზანთა ბედი.

როგორც გადმოგვცეს ნამესტნიკის საბჭოს საბოლოოდ განუხილავს ხიზანთა საკითხი და გადუწყვეტნია: მიეცეს ხიზნებს მთლად ის სახნავი მიწები, რომელნიც დღევანდლამდე ფაქტიურად მათ ხელში უჭირავთ.*) გამოსყიდვა ამ მამულებისა ხიზნების მიერ, დამოკიდებულ იქნება იმაზედ, თუ რამდენს სახიზნო იჯარას იხდიდნენ მემამულეს სა-

*. ამ რიგად ნამესტნიკის საბჭომ ყველა „დემოკრატების“ მოთხოვნას გადააჭარბა.

სარგებლოდ წელიწადში. რაც შეეხება მათ საძოვრებს და ტყეებს, საბჭოს გადაწყვეტილება არ ეხება ამას; ეს საკითხი გამოყოფილია და ჯერ-ჯერობით დარჩენილია ძველი წესი, ე. ი. ისევ სერვიტუტები. ეს გადაწყვეტილება მეტად უცნაურად უნდა ჩაითვალოს და თუ იგი კანონად იქცა, ბევრს არა ნორმალურ მოვლენას გამოიწვევს.

უცნაურია იმ მხრივ, რომ ძალზედ გაჭირებული სერვიტუტებით ვალდებულ გლეხკაცს, რომელნიც ძველად ყმებად იყვნენ და მაშასადამე უფლებრივ და ეკონომიურად მეტად შევიწროებულნი და დაჩაგრულნი, ვისი ნაოფლით და ნამგდარით შექმნილი იყო დღევანდელი საქართველოს მეურნეობა, ახალმა—კანონმა პაწია ნაღვლები ჩამოუქრა.

ხოლო ხიზნობა, მოსული ელემენტი, ნაწილი ნებაყოფლობით დასახლებული, უდიდესი ნაწილი კი ძალით შემოქრილი სხვის კერაზედ, მოურიდებლად იკალათებს საუკეთესო მამულებზე, იმ მხარეში, რომლის წინაშე არავითარი სამსახური არ მიუძღვის არც წარსულში და უმეტესად ხომ არც აწმყოში; და აი ადგილობრივი მთავრობა უცნაურად განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევს მათ, შედარებით ქართლის ნახევარზედ მშვიერ დანარჩენ გლეხკაცთან და სრულ ბატონ-პატრონად ჰქმნის მათ სახიზნო მამულებში.

ამ რიგად, მკვიდრ დროებით ვალდებულ გლეხკაცობას ესპობა იმედიც კი, შეეძინა საკუთრებად ხიზნების ზედ-მეტი მამული. ძალაში დარჩენილი სერვიტუტთა უფლებანი ხიზნებისთვის აბანდებენ მთელს მათ მიერ ნახმარს მამულს და ის მიწის ფონდი, რომელიც შეეძლო დროებით ვალდებულ გლეხკაცობას შეექმნა ხიზნებისგან მეტობრივ ნაქერ მიწებისაგან, გაეწვა-გამოეწია, გაშლილიყო და ცოტად მაინც დაახლოვებოდა მიწის რაოდენობით ხიზნებს, შეუძლებელი ხდება.

ახალი კანონ-პროექტით ხიზნების მიერ მამულის გამოსყიდვა ხდება მამულის შემოსავლის მიხედვითაო. თუ რას წარმოადგენს ეს მუხლი კანონ პროექტისა და რა გვარ უთანასწორობას ჰბადავს თვით ხიზნებშიაც ამ გვარი გამოსყიდვის წესი, აი ამის მაგალითი: საჯავახოში 25 კომლს ხიზანს უჭირავს—600 დესეტინამდე მამული და მემამულეთა გულ-კეთილობის, თუ ხიზანთა თავგასულობის გამო, სულ იხდიან...—25 მანეთს წელიწადში. თუ მოვახდენთ კაპიტალიზაციას ამ 25 მან.—60/0, დავინახავთ, რომ ამ მამულის ფასი 600 დეს. სულ ყოფილა—418 მ. 33 კ., ისე რომ ამოდენა მა-

მულს ხიზნები თითქმის მთლად მუქთად მიიღებენ. იმ დროს როცა მაგალითად, საციციანოში, იქ სადაც ყოველივე ჩხირს, ხიზნებისგან მოქრილს, თავისი ფასი აძევს, შემოსავალი შესამჩნევად დიდია და გამოსყიდვა აქ ხიზნებისთვის საზარალო იქნება. ამ რიგად ახალი კანონ-პროექტი ნაწილს ხიზნობისას ამიღებებს, მუქდად ურიგებს მამულს, ხოლო მეორეს ანგრევს, მიწასთან ასწორებს. ამასთანავე იბადება მთელი წყება პროლეტარიატისა ყოფილ მემამულეთაგან, რომელნიც ახალ კანონ-პროექტის ძალით და სერვიტუტების შერჩენით მთლად უმამულონი რჩებიან.

აი გაკვრით შინაარსი ახალ კანონ-პროექტისა ხიზნების შესახებ, რომელიც ჯერ-ჯერობით შემუშავებულია ნამესტნიკის საბჭოში და როდესაც იგი გამოქვეყნებულ იქნება, ჩვენ მის დაწვრილებით განხილვას კვლავ დავუბრუნდებით.

სომხების გადმოსახლება: გაზეთი „მშაკი“ იწერება, რომ უკანასკნელ დროს მრავალი სომხობა გადმოდის ოსმალეთიდან ამიერ კავკასიაში. ბევრი მათგანი ყარსის ოლქში ბინავდება და მთავრობაც მათ ხელს უწყობს. კაი ნაწილი ამ გადმოსახლებულ სომხობისა თბილისში ჩამოვიდა და აქ აპრობენ დასახლებას. ვერის საცემენტო ქარხნებმა სამუშაო კიდევ გაუჩინეს და მამაკაცები მუშებად მიიღეს.

ახალი რკინის გზა. „მთავრობის ახალ გზების კომისიამ“ გადასწყვიტა მიეცეს თავად ჩოლაკაშვილს, ლიანოზოვს და გადომსკის ახალ რკინის გზის კონცესია. ეს გზა უნდა აშენდეს ბორჯომიდან—ყარსამდის პატარა შტოთი დაბა ოლთისზედ.

აღდგომის კვირაში თბილისის ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი, მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, ემზავრება კონცერტების გასამართავად დასავლეთ-საქართველოს ქალაქებში: ქიათურას; ქუთაისს, ბათუმს, და სხვ. გუნდში მონაწილეობას იღებს 25 კაცი ეროვნული ტანსაცმელებით.

რედაქციამ მიიღო ი. გრიშაშვილის ახალი წიგნი: „ბროლის ღიმილი“, ლექსები ურითმოდ. წიგნი ლამაზია როგორც შინაარსით ისე გარეგნულად.

ლეიტენანტ შმიდტის თანაშემწე. იმერეთში პოლიციის შეუპყრია ვინმე ცერცვაძე, რომელიც რამდენიმე წელიწადია სხვა და სხვა ყაჩაღთა ბრბოებში იღებდა მხურვალე მონაწილეობას. დატუსაღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი ყოფილა აჯანყებულ გემის „პოტიომკინის“ მეზღვაურად გვარად სომანაიშვილი. ისიც გამოიჩინა, რომ სომანაიშვილი იყო მარჯვენა ხელი და თანაშემწე ცნობილ ლეიტენანტ შმიდტისა, რომელიც აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მთავრობის მიერ დახვრეტილი იყო.

ახალი სახელმწიფოთა კავშირი. შვეიცარიელები ამ ხანად დიდ აგიტაციას ეწევიან ახალი სახელმწიფოთა კავშირის მოსაწყობად. ამ კავშირში უნდა შევიდნენ ოთხი პატარა სახელმწიფო—შვეიცარია, ბელგია, დანია, ჰოლანდია. ხსენებულ კავშირის მიზანია სხვათა შორის გადაუდგეს გერმანიის საიდუმლო ზრახვათ მშვიდობის დარღვევისა, ევროპაში ომის გამოწვევით.



ილია ქავჭავაძის ძეგლი მამადავითზე.

მცირე რამ განცხადება

ჩემს მახსოვრობაში, მე ძვირად მინახავს ჩვენში, ისეთი თავ-დადებული, გულ-წრფელი და ბუნება-თანაზიარი მოღვაწე, როგორც იყო ვანო მაჩაბელი. თუ კი სადმე დაინახავდა, საზოგადო კარგს, გინდა მტრის ხელიდანაც ყოფილიყოს (უნებურად) გამოსული, აღტაცებით მიეგებებოდა და ივიწყებდა პირადობას, ვერც კარგსა და ვერც ავს გულ-გრილად ვერ აუვლიდა გვერდს, რომ თავთავისი საკა-

დრისი პასუხი არ მიეცა. დიახ, დიდი ბუნება-თანაზიარი კაცი იყო და მიტომაც ვახდა მისი მსხვერპლი.

ჩვენ, ქართველები, ახირებულები ვართ: არა თუ ნამდვილს, წარმოდგენილ-მოღვაწეებსაც კი ზედ-მეტად ვეგებებით და ცამდი აგვყავს ლხინით, ღვინით და კეცა-კეცა სიტყვებით! და სიკვდილის შემდეგ, ხომ საზღვარი აღარა აქვს ჩვენს ფართი-

უფროსა და უნაყოფო ხარჯს!.. არც პირველი და არც მეორე არ ღირსებია ვანო მაჩაბელს... სიცოცხლეში როგორც მებრძოლს, და მერე კი, როგორც ჩვენთვის უცნაურად დაკარგულს: ჯერ კიდევ გადაწყვეტილი ვერ გვითქვამს: მკვდარია თუ ცოცხალი? ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც პირშავად ვრჩებით მის სახსოვარის წინაშე და, რომ ეს უმადურობა თავიდან ავიცილოთ, ერთი რამით უნდა აღვნიშნათ. ჩემი აზრით ყველაზედ უკეთესი ძეგლი ის იქნება, რომ გამოიცივს მისი ნათარგმნი შექსპირი და რამდენიმე ათასი ეგზემპლარი ძალიან იაფ-ფასიანი მიეწოდოს ქართველობას. ეგება ვინმემ იკითხოს: თანხა სად არისო? და აი ჩვენი პასუხი: ყველამ, ვანოს თანამგრძობლებმა, ძალდაუტანებლად, მხოლოდ თავისის სურვილით, რომ მცირე წვლილი გამოიღოს არა უმეტეს თითო მანეთისა (ნაკლები კი შეიძლება), შესდგება მისთანა თანხა, რომელიც ეყოფა გამოცემას. და რაც მორჩება და მეტი იქნება, ის მოხმარდეს, რომელსამე საკველ-მოქმედო საქმეს მის სასახელოდ, მაგალითად ავიღოთ, თუ გინდა, ზებირ-სიტყვაობის მოგროვება, რომელსაც ასე თანაუგრძობდა ვანო მაჩაბელი.*)

საკი.

შოთა რუსთაველი

შოთა რუსთაველის ბედი პირველი და უკანასკნელი არ არის. იგი ეკუთვნის მწერალთა იმ რიცხვს, რომელთა შესახებ ხალხმა ცოტა რამ უწყის. ისტორიამ ბევრი რამ შეუხაზამობა იცის. იგი იხსომებს ხშირად ვინმე სისხლის მსმელის და ცეცხლის წამკიდებელის მთელ თავგადასავალს, უხვია ცნობებით მათ შესახებ, მაგრამ ძალიან ხშირად ძუნწია ისეთ დიდ პიროვნებათა შესახებ, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ისე ბრწყინავენ, როგორც სვეტი ნათელი. განა იმავ მდგომარეობაში არ არის საკითხი შექსპირის ვინაობისა? ინგლისში წელიწადი ისე არ გაივლის, რომ ამ მწერლის შესახებ ახალი გამოკვლევა არ გამოვიდეს და რამდენჯერ გადაუწყენებიათ შექსპირი იმ ტახტიდან, რომელზედაც იგი სდგას. მაგრამ ყველასთვის ერთი რამ კი ცხადია — შექსპირი, ან ავტორი უკვდავ ტრაგედიებისა სცხოვრობდა ელისაბედის ხანაში.

ჩვენში საკითხი შოთა რუსთაველის ვინაობისა

გართულებულია იმითაც, ვითომ ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ თამარის თანამედროვე არ იყო. ვინც შეეჩვია იმ აზრს, რომ შოთა რუსთაველი თამარის თანამედროვე და მისი მებოტბეა, მისთვის ძნელია ასეთი ეჭვის მონღლება. ქართული კულტურა არაფერს დაჰკარგავს მით, რომ შოთა რუსთაველი მეთოთხმეტე საუკუნის მწერალი იყო. ჩვენი წარსული უფრო შავბნელ ცასა ჰგავს, რომელზედაც ვარსკვლავთა ხომლებს სამ ოთხ ადგილასა აქვთ თავი მოყრილი. სხვა დანარჩენი ადგილი წყვდიადით არის მოცული და ვინ იცის, იქნებ ჩვენი წარსულისთვის კიდევაც სჯობდეს ამ ხომლის გაფანტვა, მაშინ ყოველი საუკუნე თავის მნათობს მიიღებს. მაგრამ სხვა არის ამ ხომლის გაფანტვა, სულ სხვა არის ერთი ვარსკვლავის გატება, რომ იგი, ორად ქცეული, ცის სხვა და სხვა სიგრძე სიგანეზედ დაჰკიდო. აი რით აიხსნება, რომ როდესაც შოთა რუსთაველს თამარს აშორებენ, ჩვენზედ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ყველაზედ დიდ ვარსკვლავს სტებავენ.

„ვეფხისტყაოსნის“ ყოველ მხრივი შესწავლა ორნაირად უნდა ხდებოდეს. ერთის მხრივ იგი შესწავლილი უნდა იქმნას ისტორიულად, ესე იგი როდის არის იგი დაწერილი და ვისგან, მეორეს მხრივ კრიტიკულად, ლიტერატურულად. ეს ორი მუშაობა ისე განცალკევებულად მაქვს წარმოდგენილი, რომ მათი ერთმანეთში არევა წარმოსადგენადაც კი ძნელია. ჩვენში კი სწორედ ასე არა ხდება. ისტორიკოსნი ხშირად მსჯელობენ იმაზედ თუ რას წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ლიტერატურული განძი და კრიტიკოსები — როდის ან ვისგან არის იგი დაწერილი. თუ მივიღებთ სხვა და სხვაობას იმ მეთოდებისას, რომლითაც ხელმძღვანელობს ერთის მხრივ ისტორიოგრაფია და მეორეს მხრივ ხალასი ლიტერატურული კრიტიკა, ცხადია მათი ერთი მეორის სფეროში გადასვლა საკითხს უფრო არევი-დარევეს.

უპირველესი საქმე თვით ტექსტის შესწავლა არის. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ლიტერატურამ უკვი ნაბიჯი გადასდგა. ალ. სარაჯიშვილმა ბევრი ხორცმეტი იპოვნა ტექსტში და გასწმინდა მათგან, დ. კარიჭაშვილი კი უფრო შორს წავიდა ამ საკითხში: მან მთლად უარჰყო მთელი შესავალი პოემისა და მთელი ეპილოგი. მე ვერა ვბედავ ეს შეხედულობა სრულ კემშარტებად ვაღიარო, მით უმეტეს, რომ ჩემი აზრი, როგორც არა სპეციალისტისა ამ საკითხში ავტორიტეტობა ვერ შესძენს

*) „თემი“.
1913

კარიკაშვილის დებულებას. მაგრამ რომ ეპილოგის და პროლოგის საკითხს-საგნის გადაწყვეტაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, ეს ჩემთვისაც ექვს გარეშეა.

ტექსტის ყოველ მხრივ შესწავლის შემდეგ უნდა გამოძიებულ იქმნას, თუ რა დროს არის დაწერილი პოემა. რადგან ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ არის, ეს საკითხი უფრო ძნელია, ერთი კი უეჭვოდ უნდა მივიღოთ, პოემა შექმნილია ქართველ ერის ძლიერების ხანაში. წარმოუდგენელია, რომ იგი დაწერილი იყოს დაქვეითების დროს არ არსებობს თითქმის, ისეთი გენიოსური ნაწარმოები, რომელიც შექმნილი იყოს გადაგვარების, დაქვეითების და რეაქციის ხანაში. შექსპირი სცხოვრობდა ელისაბედის დროს, დანტე და პეტრარკი ალორძინების ხანაში, კორნელი და რასინი „მეფე—მზის“ თანამედროვენი იყვნენ. ასეთ საზოგადო ფაქტებს ის აუცილებელი მნიშვნელობა აქვს, რომ შეძლებას გვაძლევს ჩვენც ვეფხის ტყაოსნის შექმნა თამარის ეპოქას მივაწეროთ. ჯერ ერთი, ამის მომხრეა მთელი ტრადიცია, მეორეც ესა, თუ მოვისურვებთ სხვა საუკუნეში გადავიტანოთ შოთა რუსთაველის მოღვაწეობა, ეს ისეთის ძლიერის არგუმენტაციით უნდა იყოს დამტკიცებული, რომ ექვები აღარ არსებობდეს. თუ მცირეც არის ექვი მაინც დარჩა, ვერავითარი მეცნიერება, კრიტიკა ვერავითარი კრიტიკა ვერ შესძლებს შოთა რუსთაველი თამარის ეპოქას აცალოს და სხვა საუკუნეს მიაკოწიწოს. მაშინ თქვენ ბრძოლა მოვიხდებათ ხალხის ფსიხოლოგიისთან, რომელიც ნახევარ ქეშმარიტებაზედ მაღლა აყენებს. ძველს, მაგრამ სრულს კრუმორწმუნეობას. შოთა რუსთაველის შესახებ კი ეს კრუმორწმუნეობა სრულია, სავსეა პოეზიით, თაყვანის ცემით. რაფაელი მადონას მუდამ პატარა იესოთი ხატავდა, თუმცა ეს დიდ აუცილებლობას არ წარმოადგენდა სურათისათვის. ასევეა ჩვენი ხალხიც, მას არ შეუძლიან წარმოიდგინოს თამარი ურუსთაველოდ, თუმცა იქნება არც იყოს ამის საჭიროება. დიდი საკითხები ხშირად პატარა მიზეზებით არიან გამოწვეულნი. ჩვენი მეცნიერნი თავებს იმტკრევენ იმის შესახებ, თუ როდის სცხოვრობდა რუსთაველი, ნამდვილად კი საკმარისი იყო ვინმე წერაკითხვის მკოდნე ბერს პატარა ფარატინზედ დაეწერა, რომ იგი თამარის თანამედროვე იყო, რე საკითხიც აღარ იქნებოდა. აი პატარა მიზეზი დიდი საკითხისა! ეს არ მოხდა და აღარ ვიცით რა ვქნათ, აღარ გვჯერა ხალხისა, მის

გადმოცემისა, რომელიც ამ შემთხვევაში მაღლა უნდა იდგეს ყველა ბერ-ძონაზონაზედ, მით უმეტეს, რომ სხვა საბუთი არა გვაქვს. აი რათა მგონია, რომ ყოველი ახალი მოსაზრება ჰიპოტეზის სახით კი არ უნდა ეფინებოდეს საკითხს, არამედ ქეშმარიტებად და მხოლოდ მაშინ შეიძლება აზრის შეცვლა რუსთაველის ცხოვრებაზედ. მაგრამ აქედან იმის დასკვნა არ შეიძლება, რომ სრულიად ავკრძალოთ კვლევა-ძიება. მეხი ქიანკველას არ დაეცემა სწორედ ისე, როგორც არც ერთ მეცნიერს არ მოუვა აზრად გამოძიება იმისა თუ როდის სცხოვრობდა ავტორი ამა თუ იმ გახუნებულ ანეგდოტისა. მხოლოდ შოთა რუსთაველისთანა მწერლებს შეუძლიანთ აღძრან ისეთი ინტერესი, როგორიც აქვს მას ჩვენს ლიტერატურაში და ამ მხრივ სარგის კაკაბაძის კვლევა-ძიება იქნება შემეცდარი იყვეს, მაგრამ არავის შეურაცხყოფელი არ არის.

ბოლოს არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ ვინა ჰყავს გამოყვანილი ავტორს პოემაში, ან რა აქვს დახატული მას. ეს უკვე სხვა სფერის საკითხია, ეს არის საკითხი ლიტერატურულ კრიტიკისა და გემოვნებისა და უმეტესად კი თვით პოემის შეგნებისა. მწერლობაში მტკიცედ არის ლაცული ის აზრი, რომ პოემაში თამარ დედოფალია გამოხატული, პირადათ მე მომხრე ვარ იმ აზრისა, რომ პოემა დაწერილია თამარის ეპოქის ზედგავლენით. მასში მეფობს მეთორმეტე საუკუნის ძლიერი სული, მაგრამ არა მგონია, რომ თინათინის სახით პოემაში თამარი იყოს გამოყვანილი. იმის საბუთი, რომ თინათინი იგივე თამარია ცოტაა და უმთავრესად კი ის ჩაითვლება, რომ თინათინიც ისევე მამის ერთა ქალია, როგორც თამარი. მამის ტახტზედ აღის ერთიც და მეორეც. აქ მე მგონია უტენდენციო მსგავსებაა მხოლოდ. თინათინის „მარტოოდენ მარტო ასულობა“ საჭიროა თვით პოემის ფაბულისთვის, მიეცით თინათინს ძმა და თინათინი გაქრება პოემაში, ესე იგი გაქრება თვით პოემა. მისტიციზმით ქალები უფრო არიან შეპყრობილნი, ვიდრე კაცები, მოჩვენებანი ქალებს უფრო ხიბლავენ, ვიდრე კაცებს და განა არაბეთის ტახტზედ თინათინის მაგივრად კაცი რომ ყოფილიყო მეფედ, იგი გაგზავნიდა ავთანდილს იმ მისტიურ არსების საძებნელად, როგორადაც გვეჩვენება ჩვენ ტარიელი პოემის დასაწყისში? ყველაზედ მეტად ხომ თვით როსტევეანი იყო შეწუხებული „უცხოთა და საკვირველ ყრმის გარდაკიდებით“ და იმავ თინათინის რჩევით მთელი წელიწადი აძებნინა მოყმეებს ყმა უცხო და

საკვირველი, მაგრამ როცა ვერც მძებნელებმა გაიგეს მისი ასავალ-დასავალი, როსტევეანმა ჭირი ლხინად შეიცვალა. და აქ იგი მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო ყოველი მამაკაცი, როგორც მისტიურ ფიქრებით ნაკლებ შებრობილი არსება.

და აი, სწორედ ამ დროს გამოდის სამოქმედოთ ქალის მისტიურ ხილვით შეპყრობილი გონება, რომელსაც გაეღვიძა სურვილი ამოცანის გამოცნობისა. მაგრამ თინათინი რომ უბრალო ქალი ყოფილიყო რას იხავდა იგი? განა ცოტა ფანტაზია აქვს ქალს, ცოტას გამოცნობა სწყურია მის ბურუსში გახვეულს გონებას? ღირსგანა ამ ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ხალხის დაქსაცვა, ომები და სისხლის ღვრა? რასაკვირველია არა და ვერც თინათინი შესძლებდა მიზნის განხორციელებას რომ არ ყოფილიყო ერთი გარემოება. ის იყო მამის-ერთა, ის იყო მეფე არაბეთისა, ბრძანებელი ყმათა და სპათა, რომელსაც წინააღმდეგ სხვა ქალებისა, თავის უზომო ცნობის მოყვარეობა შეეძლო სახელმწიფოებრივ აუცილებლობის ნიღაბში გაეხვიდა და ისე ემოქმედნა, აემოძრავებინა ჯარები მართო მისთვის, რომ დაეკმაყოფილებინა თავისი ქალური ცნობისმოყვარეობა; და თინათინი ასეც მოიქცა. განა შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ რაზედ უფრო მეტს ფიქრობდა თინათინი: ამ მისტიურ არსების პოვნაზედ, თუ სახელმწიფო საქმეებზედ, მიუხედავად იმისა, რომ ის დედოფალი იყო. ექვი არ არის, რომ იგი უცნაურ ყმაზედ უფრო ბევრს იფიქრებდა და ამ მხრივ თინათინი თვით არის ავტორი პოემისა. პოემის დასაწყისში საჭირო იყო ისეთი ფსიხოლოგიური კვანძი, რომელიც შემდეგ მსვლელობაში გიგანტურ განვითარებას მიიღებდა და რუსთაველმაც ეს საკითხი ბრწყინვალედ შეასრულა. ტარიელი სულია სივრცეში მიმობნეული, თუმცა ისეთივე შეყვარებული, როგორც მომაკვდავი, საჭირო იყო მისი ძებნა მთელ ხმელეთზედ, საზღვრებს გარედ და საზღვრებს შუა და არა კაბინეტებში, სადაც იმალებიან თანამედროვე შეყვარებულნი და ამის საძებნელად კი საჭირო იყო გიგანტური ძალა და ავტორიტეტი არაბეთის სამეფოსი და არა მარტოდონ სივარჯილე ავთანდილისა, რომელიც, აქვე შენიშნეთ, არასოდეს არ მოქმედებდა მკლავით, არამედ გონებით და ფსიხიკის საუკეთესო კოდნით. აი რად იყო საჭირო პოემაში თინათინი, თამარისებრ მამის-ერთა და თამარისებრ მბრძანებელი, მაგრამ არა როგორც თინათინი იგივე თამარი.

მაშ თუ პოემაში თამარი არ არის გამოყვანი-

ლი, ვინლა არის, ვის შეასხა ხოტბა რუსთაველმა? იქნება არავის, როგორც არავის განსაკუთრებული ხოტბა არ არის დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, შექსპირის „ჰამლეტში“ და გიოტეს „ფაუსტში“, განა ჩვენ როდისმე მივხვდებით მიზეზს მათის წარმოშობისას? მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან სთქვას რომ ამა და ამ შეკავშირებისაგან ესა და ეს ელემენტი წარმოსდგება. აი, მიზეზი და მისი შედეგი. მაგრამ ხელოვნება ყველაზედ ნაკლებ მეცნიერებაა, ჩვენ არ ვიცით მისი წარმოშობი კანონები და ხელოვნურ ნაწარმოებში გარეგან წარმოშობ მიზეზის ძებნა იგივე იქნებოდა, რაც ციხის გარედან გაღება, როცა ციხე შიგნიდან არის დაკეტილი. „ვეფხვის ტყაოსანიც“ ასეთი შიგნიდან დაკეტილი ციხეა, და მისი გასაღები მით უფრო არ ვიცით: სად არის, რომ არ ვიცით ვინ იყო თვით შოთა რუსთაველი?

იბადება საკითხი რას წააგებს ვეფხვის ტყაოსანი, როგორც ეროვნული თხზულება, თუ ასე შევხებით საკითხს? ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბევრი მარტო მიტომ სთვლის პოემას, ეროვნულ თხზულებად, რომ სწორედ ამ მსგავსებას ჰპოვებენ შიგ. მე მგონია იგი ქართულ ნიადაგზედ აღმოცენებულიად დარჩება მაშინაც, თუ უარყავით ბიოგრაფიული ხასიათი პოემისა, ესე იგი, ის აზრი, რომ პოემაში თამარია გამოყვანილი. ჯერ ეს ერთი ასეთი აზრი თვით პოემიდან არ გამომდინარეობს და იგი დასკვნაა მხოლოდ სხვა და სხვა პირებისა და ამასთანავე დასკვნა ბოლონდელი, მაშასადამე ჩვენგან შექმნილი დასკვნა ჩვენვე შეგვიძლიან უარყავით ისე, რომ პოემას არაფერი დააკლდეს. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი მოსაზრება ის არის, რომ ასეთი აზრის დაფუძნება წარმოუდგენელია მარტო ასეთ გარეგან შედარებაზედ და მიმსგავსებაზედ. ფაქტი თინათინისა და თამარის მსგავსებისა ისე მკირე მნიშვნელოვანია, რომ თუ ამ საშუალებით მოვიწოდოთ თხზულების გაორიგინალება, მაშინ იმავე მსგავსების ძალით სხვებს უფრო მეტი საბუთი ეძლევათ მიითვისონ იგი, რადგან თამარის შესახებ თვით პოემაში სულ არაფერია ნათქვამი, მხოლოდ რაც შეეხება არაბეთს, ხატავთს, ინდოეთს და სპარსეთს ამათ შესახებ კი პოემა ყოველ ნაბიჯზედ ღაღადებს.

ჩემის აზრით, მტკიცე გარანტიად იმისა, რომ ვეფხვის ტყაოსანი ნამდვილი ქართული ნაწარმოებია მარტო ისიც კმარა, რომ იგი ერთად ერთი თხზულებაა და ჩვენ არ ვიცით სხვა დედანი, ან სხვა

ასლი რომელიმე ენაზედ. და ესეც საკპარისია, რომ საკითხი პოემის ორიგინალობისა გარდაწვეტილად ჩაითვალოს.

შ. ამირეჯიბი

მიმქრალი სულის აღსარება*)

* * *

...ოჰ, გმადლობ, გმადლობ ცივილიზაციის დედა აკვანო, დიდებულო ევროპავ, შენ მე ფრიად დამაჯილდოვე! შენ გამხადე თითოთ საჩვენებელი ადამიანი, სწორედ ის ადამიანი, რომელიც გარყვნილ-გათახსირებულის სახელით იწოდება. მე კი ამითი ვამაყობ... ქეშმარიტად: ვამაყობ, რომ ყველას თვალში ასეთი თავისუფალი და ზნე-დაცემული ადამიანი გავხდი. ეს ერთგვარი განთავისუფლებაა საუკუნეთა სიბრძნის მიერ გამოკედილი ბოკილებიდან. ჩემთვის აღარ არსებობს აღარავითარი სამშობლო, არავითარი მოვალეობა, ანუ თეთრკაბოსანი იდეალი: ყოველივე ეს დიდი ხანია რაც ქუჩის ქალის ქობამ გადალახა. ეს კი ვგონებ მას აქეთ მოხდა, რაც ჩემმა მეგობარმა სანდრომ კომედია გაითამაშა და ახალ ცხოვრების ჰორიზონტი გადამიშალა. ქარავანი... ჯურღმული... პარიზი... ყავახანები... დროს აღრიანვე ჩაკლა, როგორც ის ჩვენა გვკლავს—აი ჩემი დევიზი. მაშ ნუ გიკვირთ, თუ დედა ჩემის სიკვდილი ასე ადვილად გადავიტანე: უბედურს, რომ გაეგო ჩემი ცხოვრების სინამდვილე, ვეღარ გაეძლო, ელდას გადაეტანა...და აქ რა არის საკვირველი? ნეტარება მას! მე კი, სიკვდილის წინამორბედი იმიტომ არა ვკვდები, რომ თვით სიკვდილიც არ შემიძლიან... მსურს კვლავ ვიცოცხლო, ვილოლო ამ მიწაზე, სნეულს მესმოდეს მიწის კენესა, რომ მაწანწალა ვარ... მაწანწალა... უკეთეს შემთხვევაში მაქანკალა კაცი...

მაქანკალა?

ჰა—ჰა—ჰა! რა რიგ გავიკვირდათ! ჰო, მაქანკალა... მაქანკალა!..

ოჰ, გმადლობ, გმადლობ დიდებულო ევროპავ, დიდა ჯილდო, რომელითაც შენ დამამწყალობე! შენ შემასწავლე დათმობის გზა, შენ მასწავლე რომ ყოველისფერი სიცრუეა... რა მოვალეობა,

რის მოვალეობა! ქუჩის ქალის ქობა—აი ჩემი მოვალეობა! ნახეთ, გასინჯეთ კარგად, ის გეტყვით ქეშმარიტებას... დანარჩენი კი ფიქციაა, საიდუმლო, სწორედ ისეთივე საიდუმლო, როგორც თვით ჩემი „მე“, რომელსაც ადამიანად მხოლოდ ბნელს ოთახში ვცნობ, რა თქმა უნდა, შიშველ სინამდვილესთან ერთად... მათთან ერთად... მათთან ერთად... ქალი, აი ჩემი მოვალეობა! ქალი, აი საიდუმლოების გასაღები! ქალი, აი ის ახრი, რომელსაც დავეძებთ მსოფლიოს დანგრეულ ნავთსაყუდარზე! ქალი, აი საშინელების სახეობა, როგორც საიდუმლო უფსკრულის ტალღები, რომელსაც ასე რიგად აბობოქრებს მძაფრ ფიქრთა ქარიშხალი!.. ფიქრთა ქარიშხალი... ჩვენ ფიქრთა მძაფრი ქარიშხალი!..

ოჰ, ეს ადამიანის გონება რა რიგი ღრმა, გამოურკვეველი უფსკრული!

* * *

...მაგრამ მე ხომ სრულიად დაღუპული არ ვიყავი. მაქანკლობამ და მაწანწალობამ შემაჩვია უჩინანი დათმობა იმ თვალ ქუჩუნებთან, ვისთანაც არა თუ თქვენ, არამედ თვით უკიდურესი ტვინმეისტერიც კი თავის პორტრეტს საცენაშურო კომიტეტს სთხლიშავს თავში, რომ ათროლებელი ვნებით შესტკიროს ამა თუ იმ ვალსის დროს კობტად გაკეთებულ ანტრავსს, მაშინ როდესაც იგივე ცენზორ-მეისტერი ტვინს მოგწოვთ, პორნოგრაფიად დაგისახავს იმავე სურათის აღწერილობას და თქვენს ნამუშევარს, რაზედაც ვინ იცის, იქნებ დღე და ღამეც ათიეთ, აუტო და ფეს მოლოხს შესწირავს. კიდევ კარგი რომ მწერალი არა ვარ და მათი ბრტყალები ვერას მავნებენ. მე თავისუფალი დილეტანტი ვარ, რომელიც თვითონ აწყობს საკუთარ ცხოვრებას თავის გემოვნების მიხედვით. აი, მაგალითად, ჩემს ოთახში შემოსვლისას მარცხენა კედლის წინ შიშველი სინამდვილის სურათია, რომელსაც უცნობმა მხატვარმა „პარიზის ნახევარი მსოფლიო“ უწოდა. არა, ამ სურათის შემსრულებელი შესცდა. უნდა მოეწერა: „მსოფლიოს სული და გული“. არა, დააცქერდით ამ სურათს და მაშინვე მიხვდებით, თუ რა არის სიშიშველი! სიზმრად სანატრელი სანახაობა! ხომ ხედავთ, ვნება ჩაკლული მიწოლილია ფარჩის საწოლზე, გადაღედილი, ქარვასავით საცხე გულ-მკერდი დათრობისაგან მოთეთქვილი სხეული... არა, ეს ასე უბრალო, სადა, ყველასათვის ნაცნობი და იმავე დროს ასე შორეული, ჩვეულებრივ ცხოვრებაში რალაცა გაუგებარ მიზეზების გამო დამალული და თითქო დაშორებული სიტურფე! არა, და-

*) იხ. „კლდე“ № 9, 10, 11, 12, 14 და 15

უჯერებელია! რა არის მადონა, რომელიც ცხოვრებაზე ისევე შორსა სდგას, როგორც ჩუმი უმწიკვლო ოცნება ჟამნობანის დროს, როდესაც ჯერ კიდევ ნორჩი ვიყავი. ეხლა კი არ არის საჭირო მადონა... საჭიროა სინამდვილე, სანატრელი სიშიშვლე.. აჰა, შეჰხედეთ ამ სურათსა, დააკვირდით მას ვნება-დამკვდარს ღიმილს, მის სხეულის ყოველ ნაკვთს... ეხლა მესმის, თუ დორა რას მთხოვდა მაშინ, ან რად მთხოვდა... ბრძანს თვალი ამეხილა... ოჰ, რომ შემეძლოს... რომ შემეძლოს... ამირანის ძალით აღვიკურვებოდი, რომ ცოდვილ კაცობრიობისთვის დამებრუნებინა მისი დაკარგული დიადი განძი. ცხოვრებას მოსწყდა სიშიშვლე და მით დაიკარგა მისი ღირებულების გვირგვინი... ჩვენ შევეკარეთ უხეში ტომრები, სიტურფე იგი გამოვანაშთ და რაღაც ფენიქსად გარდავქმენით, ველით ღამეს... სანატრელ ღამეს... რომ მაშინ მაინც დავიჭიროთ იგი... ვიხილოთ მისი მშვენება, გახდის პროცესის დროს... და... სიყვარულიც ხომ ამ პროცესს აღარ სცილდება...

ჰა—ჰა—ჰა! სიყვარული... სიყვირული... ნუთუ?.. ამ პროცესს ჰქვიან ეს სახელი, გახდის პროცესსა?... და რატომ, რატომ?..

თქვენც კითხულობთ: „ჰო რატომ? რატომ?“ თქვენც თანხმობას უცხადებთ, ლოდიკაც შესაფერს აღვიღს ჰპოვებს, რომელიც ღაღად ჰყოფს, რომ აღამიანის გონება და სხეული ერთი და იგივე იყოს. ჩვენ კი ცხოვრების ჰარმონია დისჰარმონიად გარდავქმენით, რასაც ჩვეულებრივი განაგაშით ცივილიზაციას ვუწოდებთ... განათლებას!..

ჰა—ჰა—ჰა—ჰა! ცივილიზაცია!..

ოჰ, შეაყენეთ... შეაყენეთ ამ ვეშაპის ეტლის ბორბლები! არ გესმით?! შეაყენეთ, თუ არა გასურთ ყველა აჩრდილად გარდაიქცეთ, როგორც ეხლა მე..

* * *

.. მაგრამ ეს ხომ უტოპიაა!

უტოპია!

ოხ, ტვინი მეყინება ამის გახსენებაზე... ირგვლივ საშინელებაა... ისეთი საშინელებაა, როგორიც სუფევს მენავის გარშემო, როდესაც ქარ-ბუქი ნავს დაუმსხვრევს და ერთის ანძის ანაბარად დასტოვებს ესმის სტიქიონის საშინელი კვნესა, ესმის სიკვდილის ძახილი, თჳა უთეთრდება, მაგრამ ანძის წვერს მობლაუჭებული მაინც ხსნას ელის, თუმცა კარგად იცის, რომ მთელი ბრძოლა ამოვბასთან შეტაკებაა, მეც ამ ანძის წვერს არ ვცილდები... მწყურის სი-

ცოცხლე... მომეცით ხელი... აღმადგინეთ... ამ საშინელებას... გამაცალეთ... გამაცალეთ და დამარწმუნეთ, რომ შეიძლება აღამიანი ბედნიერი იყოს... მე ვარ... მე... ვხედავ მხოლოდ შევ ზოლებისს. ცეცხლ.. თვით გაზაფხულის უბედური დღე მაგონდება, ის გაზაფხული, როდესაც იმედების ნექტარით სავსე ფიალას გვაწვდის ხელში, როდესაც ვარსკვლავებით მოქედით ცას წარბ-შეუბრლოდ შევეყურებდი და კი ვერ შევძელ ზე აფრენა მზეთა-მზის სამეფოს გასაცნობად! ან და რად მოხდა, რომ მზის სხივმა იცვალა ფერი? რად შემეცვალა ძოწეული შევ-ბნელ ძაძებად? ან რას დავეძებ თვალუწვდენელ უდაზნოს გულში?

მაგრამ... ქვეყანავ, უმადურო, სიბერწე ჰქვიან თესლსა შენსა!..

* * *

.. ნეტავ წყევლა მაინც შემეძლოს...

არა, კვლავ ნატურა... ოჰ. რომ შეიძლებოდეს დედის აჩრდილის გამოწვევა!.. ოჰ, დედა, დედა... სად ხარ, სადა... მარტო ვარ, მარტო სარეცელზე... ყრუ უდაბნოდ გარდაექმნა შენ შეიღის სოფელი... ოჰ, დედი, დედი! რად არ მიშლიდი იმ დროს ტირილს, როდესაც ძუძუს გთხოვდი? რად არ შემასმინე ეს ძვირფასი საუნჯე ამ დღისთვის შემენახა, რომ ეხლა მაინც ცრემლთა ნაკადში ნუგეშის ნაფი მებოვნა! ოჰ, რომ შეგეძლოს გამოცხადება, რომ შეგეძლებოდეს წარსულ დღეთა გამობრუნება, გწამდეს დედილო, შენ შეიღის კვლავ აწუქებდი ქვეყანასა და დაკარგულს ბედნიერებას... ის იწინასწარმეტყველებდა, განახლებული წარსდგებოდა, ამ მიმქრალ სულად არ გარდაქმნებოდა... ან შენ სადა ხარ, ანგელოზო, შენ, ვინც ერთ დროს ღმერთთა არსებობაში მარწმუნებდი... შენ ხომ გიყვარდა ჩემთან ცქრიალი, ჩემთან ცელქობა, სიკისკასე... ხომ გახსოვს, როდის ამოკირჩიე ჩემს ანგელოზად? თქვენს თეთრს საყდრის წინ... მის ახლად აგებულ საკურთხეველის წინ... არც ეხლა გახსოვს? გაგონდება?... შენს პატარა დებს ახალისებდი, ცოცხალ სურათებს აჩვენებდი, შენ შუაში იდექი და ქერუბიმად დასდგომოდი... გახსოვს, ჰო გახსოვს? მე შემოგყურებდი, განატობდი და ჩემს სულში აღგვეცე ჩემს საღმრთო ქურუმად, რათალოცვით მომეპართა ხოლმე. მარკვი, სად ხარ? რად არ მშველი ამ წამების ჟამს!

— ჰო, სადა... სადა...

გამოძახილიც იმეორებს: „ჰო, სადა... სადა...“ ვიცი, ოკეანეა სივრცის უდაბნო, სადაც მაშვრალი სული ჩემი დახეტიალობს, მაგრამ მაინც ვკითხულობ: „სადა, სადა?“ — თითქოს არ ვიცოდებ,

თუ სადაც არის... თითქოს არ მახსოვდეს, რომ მივიწყების სივრცეში დაჰფრენს... მაგრამ სივრცეში მას რა უნდა?.. მითხარით რა უნდა? ოჰ, თქვენ, ვისაც გქონიათ მშობლიური რაიმე გრძნობა, ვისაც შეგსმენიათ საყვარელ პირმშოს ძახილი, გემუდარებით, დამიბრუნეთ ჩემი წარსული! არ გესმით? აჰა, ზეციურ ზარებს მოვხსენი ენა ერთად ვაგუგუნებ და გემუდარებით, მომეციოთ ჩემი სიყმაწვილე... დამიბრუნეთ სიცოცხლე... ენა აუხვით ჩემს მუნჯს ქურუმს, ნუ სდგას ასეთი ცივი მეტყელებით .. მსურს, მარადისობის საკურთხევის წინ კვლავ მან აღმიგზნოს გული ჩემთა ლოცვათა ცეცხლით... ოჰ ნუ მიშრობთ სიცოცხლის სარკმელს, ნუ, ნუ... აჰხადეთ კრეტსაბმელი, აჰხადეთ! სარეცელზე მწოლიარეს მსურს ერთხელ მოგკრა თვალი... მხოლოდ ერთხელ... ერთხელ ვიხილო ის მწვერვალი, სადაც ოდესმე სული ჩემი დაჰქროდა ლაღად, სადაც ვმწყემსობდი, დილის ლოცვას შევწირავდი უხილავ ღმერთებს, სადაც განვიციდიდი აწ დაკარგულს ბედნიერებას, სადაც ტყე-ღრეზედ ბინდით მოცულს ნაპრალოთ უბეზე, თვით ელვის მტყორცნელ ღრუბლებზედაც მალა ვიდექი და აღვინთებოდი საღმრთო ცეცხლით, რათა მწვერვალიდან ჟამნობის დროს დავშვებულყავ და ცოდვილ კაცთა ნათესავისთვის მიმეცა სითბო!.. მაშ გაარღვიეთ ზეწარი... აჰხადეთ კრეტსაბმელი... მომეცოთ სიცოცხლის ნაკადული... მსურს, მის საიდუმლო ზღაპრებს მიუგდო ყური, რომ ჩემი ცხოვრება მისი ნამებით გაიფურჩქნოს და ახალ ზღაპრად აჩურჩულდეს მიმქრალ სულთათვის...

მაგრამ ეს ხომ აღდგომა იქნებოდა...

აღდგომა!.. აღდგომა!.. უმზეო აღდგომა!..

აღდგომა ყინულის უდაბნოში...

* *

...რა რიგ მეცინება, ღმერთო ჩემო, რა რიგ მეცინება... მინდა ვიტყვო, მაგრამ მეცინება... ან როგორ არ ვიცი, როდესაც უვითეულ ფეხის გადადგმაზე დათმობის გზას ვადგები... ვწყველი... ვკვლავ... პათეტიური ვატაცები, ფეხითა ვსრისე და იმავე დროს... იმავე დროს დიდი ამბებით ქებათა-ქებას შევსწირავ მას... მევე ვთრთი... ვთრთი, როდესაც მახსენდება ესეოდენი ეპილეპთიური და ისტერიული ბოდვა... ექიმმა რომ მომისწროს... მან რომ ეს აღსარება მიპოვნოს, უეჭველია, ფსიხიატრთა განყოფილებაში გადამიყვანს... მაგრამ არა, მე მას დავასწრობ... დავასწრობ... ამ

უკანასკნელ ფურცელსაც დაფათავებ და ჩემს სიცოცხლეს ისე ჩაენთავ, როგორც უკანასკნელ ციგარის ღეროს...

უკანასკნელს?

ღმერთო! რად მიცავს თრთოლვა ამ ერთი სიტყვის გახსენებაზე? იქნებ, მართლაც, ეს „უკანასკნელი“ იყოს... იქნებ... იქნებ... მაგრამ ეს ვინ ხარ? რას იტუხები მაგ კარებში? მომეცა, შეგობარო, უნდა ეს კარი გავიარო... მინც არ მიხვალ?... სდუმს... ისე სდუმს, თითქოს ღუმელი პირველი და უკანასკნელი სტუმარი ყოფილიყოს ჩემს წეკითხვაზე... რა გინდა ჩემგან, მეგობარო, რას მერჩი? მოვსულვარ შორი გზიდან, საბრალო მწირი მოგზაური ვარ... გადამატარე ეს ზღრუბლი... რა ვქნა, არ გსმის! მუნჯი ხარ? ყრუ ხარ?... სულ ერთი არის, ხმას არ იღებს... იქნებ ლოცვას მთხოვ? ჰოო? აჰა, ვემზობი შენს წინაშე, ვემზობი და ისე ელოცულობ, ვით ეს შეუძლიან ავადმყოფ სულსა. კიდევ სდუმხარ?... ბრიყვი, სულელი! გათამამდა... ჩამოდექი, ჩამოდექი შე ბრიყვო მაწანწალავ! ჩამოდექი, თორემ ახლავე დაგატყვევებ... ამ ფრჩხილებით ყელს გამოგლადრი... არა გჯერა... სსუთ... ის ინძრევა... კარებს აღებს... აგერ... აგერ... შემოლის კიდევ...

* *

...ექიმი...

P. S. ეს ხელთნაწერი დაუმთავრებელი აღსარების სახით წაართვა ექიმმა ჟერმმა ერთს ახლად გადმოხვეწილს, რომელიც ავი სენით იყო შეპყრობილი. ავადმყოფი საქალაქო საავადმყოფოში გადიყვანეს. ექიმი სრულს იმედს იძლეოდა, ავადმყოფს მალე ძალღონე დაუბრუნდება და შესაძლებელი იქნება მისი სამშობლოში დაბრუნებაო. მაგრამ სრულიად მოულოდნელად უბედურობა დატრიალდა: ღამით ავადმყოფს თავი ისე დაეხრჩო ზეწრით საწოლის ფეხთან, რომ მორიგ „დასაც“ კი ვერაფერი გავგო. ხელთნაწერი განსვენებულისა ექიმმა მის თანამემამულეთ გადმოგვეცა, რასაც მისივე თხოვნით ვაქვეყნებთ კიდევ.

დ. კასრაძე.



ქართულ კულტურის მოკვადლურ კრებაზედ

(პ. ინგოროყვას რეფერატი).

ნ-ს აპრილს ქ. კ. მოყ. კრებაზედ წაიკითხა მოხსენება პ. ინგოროყვამ: „როდის სცხოვრობდა შოთა რუსთაველი“

ძალა-უნებურად ებმის პ. ინგოროყვას შინა-არსიანი რეფერატი ს. კაკაბაძის გამოგონილ ჰიპოტეზას, ვითომ რუსთაველი მე-XV საუკუნის მწერალი იყვეს და ვეფხვის ტყაოსანს, არ არსებულ აფხაზთ—დედოფალს უძღვნიდეს, არ არსებული დავითის ბრძანებით. ეს პოლემიკური ხასიათი რეფერატისა ადვილი ასახსნელია იმ აღშფოთებით, რომელიც გამოიწვია საზოგადოებაში, კაკაბაძის უდიერმა გაკილვამ ჩვენ მკვლევართა და მეცნიერთა, მაგრამ ასეთს სერიოზულ თემას ახალგაზრდა მკვლევარისაგან მეტი სიღინჯე ექირვებოდა. მით უფრო საჭირო იყო განდევნა საკამათო ხასიათის ადგილებისა, რომ რეფერენტს ძვირფასი მასალა ჰქონდა კაკაბაძის თეორიის სრულად გასაბათილებელი. გარდა ვეფხვის-ტყაოსნის ტექსტის ყალბ ადგილების ჩვენებით, რომლებითაც ბატ. კაკაბაძეს განსაკუთრებით გადაჰქონდა შოთა რუსთაველის დრო მეთოთხმეტე საუკუნეში, ახალგაზრდა რეფერენტს ნამდვილი მეცნიერული კვლევის მეთოდები შეუთვისებია და ისტორიულ პერსპექტივასთან ერთად, უტყუარი ისტორიული საბუთებიც მოჰყავდა თავის დებულებათა დასამტკიცებლად. ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა ყალბ მეცნიერთა გამოსამზებურებლად.

თვით რეფერატი იმდენად ძვირფასს მასალას შეიცავდა, ისე მთლიანად იყო შემუშავებული ყოველმხრივი განმტკიცება მთავარი აზრისა,—რომ შოთა რუსთაველის პოემა აღმოცენდა სწორედ თამარ მეფის დროს,—იმდენს საბუთს იძლეოდა კაკაბაძის ფანტაზიის გასაფანტავად, რომ დაწვრილებით ყველაფრის გადმოცემა შორს წაგვიყვანდა.

კაკაბაძის მტკიცება, ვითომ რუსთაველი სარგის თმოგველის, მოსე ხონელის და სხ. შემდეგ სცხოვრობდა, აშენებული თვით ვეფხვ-ტყ. ტექსტზედ, სრულიად გაბათილდა იმით, რომ ეს ადგილები ტექსტისა შერყენილია, მერეა მინაწერი უცნობ ავტორისაგან და,ესეც რომ არა ყოფილიყო, ლოდიკურად შეუსაბამოა, ავტორი თავის თავზე და სხვებზეც ერთნაირად მესამე პირით ლაპარაკობდეს. ამრიგის სხვა მოსაზრებათა შორის აღსანიშნავია, რომ სარგის თმოგველის ფაბულა ვერ დაედებოდა სარჩულად ვეფხვის ტყაოსანს, რადგან თვით ტექსტიც და არჩილ მეფის მოწმობაც ამტკიცებს, რომ იგი

(ამბავი) თმოგველსა „დარჩა უთქმელად“, მაშასადამე არც ეკუთვნის მას.

რეფერენტმა ნათლად დაგვიხატა ისტორიის თვალსაზრისით შეუძლებლობა ვეფხვის ტყაოსნის გადატანისა იმ საუკუნოებში, როდესაც მთელი სიკოცხლე საქართველოსი, მთელი მისი კულტურული ძარღვის ცემა შეწყვეტილი იყო მონგოლთა შემოსევით და იმ საშინელებით, რომელიც მათ დაატრიალეს საქართველოში. ისტორიულად შეუძლებელია შექმნილი იყო ასეთი დიადი განძი საერო მწერლობისა მაშინ, როდესაც საზოგადოთ ცხოვრება უკიდურესად დაცემული იყო, როცა შიშს და გლოვას მოეცვა არე-მარე და მარტო მიუვალ მთებში და ტყეებში იხიზნებოდა ყოველი ადამიანი, როდესაც ბარბაროსულმა ურდოებმა წააღიეს ქვეყანა.

მეორეს მხრით, რეფერენტმა ყოველ მხრივი განხილვით, ისტორიულად, ლინგვისტური და სტილისტური შედარებით, ტექსტის სოციალურ მომენტების ანალიზით, მისი ფილოსოფიურ და თეორიულ შემეცნებათა გარკვევით—ნათელ ჰყო ყველასათვის, რომ ეს „ძველი ეროვნულ შემოქმედებისა“ ეკუთვნის მეთორმეტე საუკუნეს და სწორედ თამარის მეფობის დროს, როცა ჩვენს ისტორიას ოქროს ხანა დაუდგა და კულტურულმა, სახელმწიფოებრივმა და ეროვნულმა შეგნებამ და ძლიერებამ აპოგეის მიაღწია.

აი მხოლოდ ასეთს ისტორიულს ხანას შეეძლო შეექმნა ისეთი ნაწარმოები, რომელიც თავისი შინაარსით შეადგენს დასურათებას და განსახიერებას თამარ მეფის დროისას.

დაწვრილებით აღარ გავარჩევთ რეფერატს და დაუმატებთ მხოლოდ, რომ კამათის დროს თითქმის არავის დაურღვევია რეფერენტის დებულებანი, პირიქით უფრო ამაგრებდნენ მის პოზიციას სხვა და სხვა დამატებით. მხოლოდ დ კარიკაშვილმა შეიტანა ეჭვი ვეფხვის-ტყაოსნის წინასიტყვაობის დაწერაზედ იმავე ავტორისაგან, რომელსაც ეკუთვნის თვით პოემა; მაგრამ რეფერენტმა ამაზედაც ჯეროვანი საბუთები წამოაყენა და დაამტკიცა რომ წინასიტყვაობაც იმავე ავტორისაა, მხოლოდ ზოგიერთი ადგილია შერყენილი.

საზოგადოებამ დიდის ინტერესით მოისმინა ნიქიერ ახალგაზრდას მოხსენება და აღტაცებულის ტაშის ცემით დააჯილდოვა.

რ.ე.



რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.